

საქართველოს პარლამენტის აპარატი
რეგისტრაციისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილება
შემოს. № 4030
05.05. 2011წ. ფურც 15
ს. ს. ს. ს. ს.
მისაღების ტ. 281308

-8/94. 05.04. 201

მისაღების ტ. 281308

მისაღების ტ. 281308

მისაღების ტ. 281308

მისაღების ტ. 281308

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
ბატონ დავით ბაქრაძეს

ბატონო დავით,

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირში შექმნილმა მდგომარეობამ, პედაგოგთა პროფკავშირის წევრი პედაგოგების დაინტერესებამ მიმდებარე გადაწყვეტილება მომემართა თქვენთვის, ვინაიდან ჩემთვის და ჩემი ორგანიზაციის წევრებისათვის ცნობილია თქვენი და საქართველოს პრეზიდენტის დამოკიდებულება ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესებისადმი, მათ შორის პროფკავშირის მნიშვნელოვანი როლის შესახებ. დაპირისპირება და შესაბამისად, სოციალური დიალოგის არარსებობა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის იმდენად გამწვავდა, რომ პროფკავშირის წევრებს გაუჩნდათ ლეგიტიმური შეკითხვა: ხომ არ გამომდინარეობს ზემოაღნიშნული დაპირისპირება სახელმწიფო პოლიტიკიდან. ამ კითხვაზე პასუხს ითხოვენ ჩვენი მრავალათასიანი ორგანიზაციის წევრები. თავი ვალდებული ვარ ჩავთვალო მომემართა თქვენთვის და განმეორტა ორგანიზაციაში შექმნილი მდგომარეობის მიზეზები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრად ბატონი დიმიტრი შაშკინის დანიშვნისთანავე, მასსა და საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირის ყოფილ პრეზიდენტს ქალბატონ მანანა ღურჭუმაღიძეს შორის შეიქმნა დამაბული ურთიერთობა, რამაც ასახვა პოვა ორგანიზაციისა და მისი წევრების ინტერესებზე. შეწყდა ყოველგვარი თანამშრომლობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სპმთპ-ს შორის. პრაქტიკულად სკოლის დირექტორებს აეკრძალათ პროფლიდერების სკოლებში შეშვება. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი ჩამოცილდა განათლების რეფორმაში მიმდინარე პროცესებს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თავისი ბრძანებით ცალმხრივად, პროფკავშირთან შეუთანხმებლად გააუქმა

2007 წლის 11 ოქტომბრის #959 ბრძანების „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ ის მუხლები, რომლებიც ითვალისწინებდა დირექტორის ინიციატივით მასწავლებლის ვადამდე გათავისუფლებამდე, მის მიერ გასავლელ სავალდებულო პროცედურულ ნორმებს, რითაც უხეშად დაარღვია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მოთხოვნები. სამინისტროს მხრიდან პროფკავშირის სრული იგნორირების შედეგად შეჩერდა ჩვენი წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესრულება, რის შედეგადაც პედაგოგთა საზოგადოება დარჩა შრომითი, სოციალ-ეკონომიკური და სამართლებრივი უფლებების დაცვის მექანიზმის გარეშე. ზეწოლის სხვა ფორმებთან ერთად მინისტრის სიტყვიერი მითითების თანახმად, განხორციელდა ფინანსური ბლოკადა სპმთპ-ის მიმართ. სკოლის დირექტორებს აკრძალა საწევრო ანარიცხების დადგენილი, კანონიერი გზით სპმთპ-ის ანგარიშზე გადარიცხვა.

ორგანიზაციის ხელმძღვანელობას კონფლიქტის მიზეზად მიაჩნდა მანანა ღურჭუმალიძისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პიროვნული შეუთავსებლობა. ქალბატონი მანანა ღურჭუმალიძე გადადგა თანამდებობიდან 2010 წლის სექტემბრის თვეში. ამავე წლის 30 ოქტომბერს, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის მე-6 რიგგარეშე საარჩევნო-საანგარიშო ყრილობამ ამირჩია ორგანიზაციის პრეზიდენტად. ყრილობის საარჩევნო-საანგარიშო ყრილობის რაიონულ ლიდერთა გარკვეულმა ჯგუფმა, დატოვა ყრილობა და არ მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა. 2010 წლის წლის 22 ნოემბერს, მათ შეიტანეს სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში, რითაც მოითხოვეს ყრილობაზე ჩემს არჩევასთან დაკავშირებული კენჭისყრის შედეგების ბათილობა.

გაცნობებთ, რომ, 2010 წლის 30 ოქტომბრის ყრილობაზე არჩეულ ვიქენი ყრილობის მონაწილეთა უმრავლესობის მიერ.

ყრილობის ლეგიტიმურობა ასევე დაადასტურა ყრილობაზე დამსწრე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, კერძოდ, განათლების ინტერნაციონალის გენერალური მდივნის კონსულტანტმა-გასტონ დე ლა ჰეიმ, ადამიანის უფლებათა დაცვის და ევროკავშირის წარმომადგენელმა-ოლივერ რაიზნერმა, ამერიკის მასწავლებელთა საერთაშორისო დეპარტამენტის უფროსმა-დევიდ დორნმა, ამერიკის შრომის საერთაშორისო „სოლიდარობის ცენტრის“ ქართული პროგრამების დირექტორმა-რობერტ ფილდინგმა, ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობის დირექტორმა საქართველოში-ია თიკანაძემ. მათ აღნიშნულთან დაკავშირებით გააკეთეს რამდენიმე საჯარო განცხადება (დანართი თან ერთვის).

მოგახსენებთ, რომ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტად არჩევამდე, ვმუშაობდი ქ. თბილისის 32-ე საჯარო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად, პარალელურად კი ვიყავი სკოლაში საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე, პროფკავშირის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის საბჭოს წევრი და ყრილობის დელეგატი. ორგანიზაციაში არსებული მძიმე სიტუაცია ჩემთვის ცნობილი იყო, რასაც საკმაოდ მტკივნეულად აღვიქვამდი, როგორც პედაგოგი და პროფკავშირის წევრი. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა

თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტად მოსვლის მოტივაციას წარმოადგენდა შემეცნალა ორგანიზაციაში ჩემამდე არსებული კურსი და დაპირისპირების რეჟიმიდან პროფკავშირი გადასულიყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან კონსტრუქციული, სოციალური დიალოგის რეჟიმზე.

მე ასევე კარგად მესმის ის, რომ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის საწესდებო მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელია კონსტრუქციული სოციალური პარტნიორობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, რომელიც დამყარებული იქნება ურთიერთპატივისცემასა და ნდობაზე. აღნიშნული კი თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ჯანსაღი დემოკრატიული პროცესების განვითარებას ქვეყანაში.

სამწუხაროდ, ამ მიზნის მისაღწევად, ჩემს მიერ განხორციელებულმა მცდელობებმა შედეგი ვერ გამოიღო. ჩემი პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, მე და ორგანიზაციის საქალაქო და რაიონულმა ლიდერებმა რამოდენიმეჯერ მივმართეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ოფიციალური წერილებით (2010 წლის 01 ნოემბრის წერილი #01-01-8/498; 2010 წლის 26 ნოემბრის წერილი #01-05-8/518; 2011 წლის 15 თებერვლის წერილი #01-03-8/38; 2011 წლის 17 მარტის წერილი #31-89-40; 2011 წლის 27 იანვრის წერილი; ასლები თან ერთვის), რითაც ვითხოვდით მინისტრთან შეხვედრას ჩვენს შორის არსებული პრობლემების კონსტრუქციული დიალოგისა და სოციალური პარტნიორობის გზით გადასაწყვეტის მიზნით, თუმცა, სამინისტროსაგან პასუხი დღემდე არ მიგვიღია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აგრძელებს ხისტ და უსამართლო პოლიტიკას საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის მიმართ. ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა შევიდეთ სკოლებში, მონაწილეობა მივიღოთ მიმდინარე განათლების რეფორმაში და ვიმუშაოთ ჩვენს წევრებთან. არ აღსდგა საწევრო ანარიცხების გადარიცხვა ჩვენს ანგარიშზე. აღნიშნული ქმედებებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არღვევს ქვეყნის შიდა კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მოთხოვნებს.

„პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის თანახმად, „პროფესიული კავშირების ერთ-ერთ ძირითად უფლებას წარმოადგენს კოლექტიური მოლაპარაკების წარმოება, კოლექტიური ხელშეკრულებისა და შეთანხმების დადება და მათი შესრულებისადმი კონტროლი. ამავე კანონის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო ხელს უწყობს პროფესიულ კავშირს წესდებით გათვალისწინებული ამოცანების განხორციელებაში, ასევე „სახელმწიფო უზრუნველყოფს პროფესიული კავშირის უფლებათა დაცვას“. საქართველოს პრეზიდენტმა, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირთან და მის წევრ პედაგოგებთან 2008 წლის 8 მაისის შეხვედრაზე განაცხადა: „ჩვენ უნდა გვქონდეს ინტენსიური, ყოველდღიური დიალოგი დასავლურ ღირებულებებზე ორიენტირებულ პროფკავშირულ ორგანიზაციასთან და გავითვალისწინოთ მათი პოზიცია გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რათა გავაუმჯობესოთ განათლების სისტემა და მასწავლებელთა მდგომარეობა საქართველოში, დავაკანონოთ პედაგოგობა, როგორც ყველაზე ელიტური პროფესია“.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო თავისი ქმედებებით ხელყოფს საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლით გარანტირებულ გაერთიანების თავისუფლებას, რაც გამოიხატება მის მიერ პროფკავშირის საქმიანობის განხორციელებისათვის ხელშეშლასა და ჩარევაში, ასევე პროფესიული კავშირის იგნორირებასა და მისი როლის უგულვებელყოფაში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო თავისი ქმედებებით არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლისა და გაეროს „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ 1966 წლის საერთაშორისო პაქტის 22-ე მუხლის მოთხოვნებს, რომელთა თანახმადაც, ყველას აქვს უფლება პროფესიული კავშირების შექმნისა და მასში გაერთიანების საკუთარი ინტერესების დასაცავად.

პროფესიული კავშირის საქმიანობისათვის ხელშეწყობის ვალდებულება სახელმწიფოს ეკისრება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის #87 და #98 კონვენციებისა და ევროპის სოციალური ქარტიის თანახმად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იქმნება აზრი, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიზანია პედაგოგთა პროფკავშირის მიზანმიმართული გამოდევნა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, რასაც წარმატებით ახორციელებს ორგანიზაციისათვის ხელოვნურად დაბრკოლებების შექმნით.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის არსებულ დამაბულ ვითარებაში ჩართულნი არიან საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებიც, რომელნიც ცალსახად გმოვენ სამინისტროს მიერ პროფკავშირის საქმიანობისათვის ხელშეშლისა და ჩარევის ფაქტებს. ასევე გაცნობებთ, რომ მათი ინიციატივით, მქონდა რამოდენიმე შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ელჩებთან და სხვა მაღალი რანგის დიპლომატებთან. ჩვენს ორგანიზაციაში არსებული მდგომარეობა სცილდება ჩვენი ქვეყნის ფარგლებს და სამწუხაროდ არასასურველ რეზონანსს იწვევს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით გამოიჩინოთ თქვენთვის ჩვეული გულისხმიერება და გაგვიწიოთ დახმარება ჩვენსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის აღდგეს ურთიერთპარტნიორობა საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე.

წინასწარ გიხდით მადლობას.

დანართი 11 (თერთმეტი) ფურცლად

პატივისცემით,

მაია კობახიძე
სპმთპ-ის პრეზიდენტი

